პრესრელიზი

14 თებერვალს, 15:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), გაიმართება ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, მეცნიერის, ნინო ცხომელიძის, კვლევის პრეზენტაცია.

ნინო ცხომელიძე გახლავთ მკვლევარი, რომელიც ასწავლის ჯონ ჰოპკინსის, ტიუბინგენისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში შუა საუკუნეების ხელოვნებას იტალიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთზე კონცენტრაციით. ამჟამად, ცხომელიძე მუშაობს დედოფალ თეოფანუს ქორწინების სიგელზე; პერგამენტის გრაგნილი, დღესდღეობით, ვოლფენბიუტელის სახელმწიფო არქივშია დაცული. X საუკუნის ახალგაზრდა გერმანელი იმპერატორის ოტო II-ისა და ბიზანტიელი მეფის ასულის, თეოფანუს, ქორწინების სიგელია. სწორედ ამ გერმანული შუა საუკუნეების ილუმინირებული საბუთის წარდგენა გაიმართება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

შეხვედრის მიზანია დასავლური კვლევის მეთოდების გაცნობა ქართველი საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ნინო ცხომელიძე, ამჟამად, იკვლევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ისტორიულ დოკუმენტებს და მისი კვლევის შემადგენელი ნაწილია ზემოაღნიშნული საბუთისა და ქართული ისტორიული საბუთების შედარება.

ამასთანავე, ვინაიდან კვლევა მოითხოვს შედარებით ანალიზს, კვლევისთვის გამოყენებული იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მსგავსი ტიპის სიგელი; გერმანული შუა საუკუნეების ილუმინირებული საბუთის კვლევის შედეგის წარმოდგენა სწორად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შედგება.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge